№ 192 მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი. წელიწადი მეორე

საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 1 მანეთი. პარასკევი 29 აგვისტო 1919 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
„საქართველოს რესპუბლიკა"
მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის. ხელის მოწერის ფასი ერთი წლით 220 მ., ნახევარი წლ. 110 მ., 1 თვით 20 მ., ცალკე № ყველგან 1 მან. სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით. კერძო განცხადებანი შეთანხმებით. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 9 ს. ნაშუადღ. 2 ს. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 1—82

ცენტრალური სასურსათო საბჭო

ამით აცხადებს, რომ სამ სექტემბერს, 1919 წ. დილის ათ საათზე დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ახალ სასაკლაოს შენობაში (ნავთლუღში) შემდეგი საბჭოს ნივთებისა: რამოდენიმე ათი ათასეული ძველი ბოჭკებისა, სხვა და სხვა ბოჭკების საკეთებელი იარაღებისა და საშენებელ მასალისა. დაწვრილებითი ცნობები მიიღება ცენტრალურ სასურსათო საბჭოში (მადათოვის ქუჩა, № 3). 1503 3—3

საჭიროა ოჩემჩირის ახალი ტიპის გიმნაზიისათვის გამოცდილი გამგე.

არსებულ ჯამაგირზე ზევით ქალაქის გამგეობის მიერ მიეცემა 500 მანეთი თვეში. საჭიროა იმავე სასწავლებლისთვის აგრეთვე მასწავლებლებიც. თხოვნებით მიმართეთ განათლების სამინისტროს. ოჩემჩირის ქალაქის გამგეობა. 1178 5—8

საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოების გამგეობა

აცხადებს, რომ საზოგადოების აქციონერთა **საზოგადო კრების გაგრძელება** დანიშნულია პარასკევს 29 ამა აგვისტოს, საღამოს 7 საათზე, სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბინაზე (ფრეილინის ქ. № 11).

1540 1—1 მდივნის ამხანაგი **ა. ქორქაძე.**

პირველ ცხენოსან პოლკში,

რომელიც დაბინავებულია ნავთლუღში დროებით საჭიროა პოდპორუჩიკები და უფროს უნტერ-ოფიცრები, რომელთაც დამთავრებული აქვთ სამოსწავლო კომანდა, კარგი არიან ყოფაქცევითა და ზნეობით, ქართული ენის კარგა მცოდნე. საჭიროა სათანადო მოწმობები. ჯამაგირი ვახმისტრს—600 მან., უფროს უნტერ-ოფიცრებს—500 მან. და ჯარის კაცის „პაიოკი". 1204 2—2

ოფიციალური განყოფილება.

საქართველოს სენატის დებულება

თავი პირველი.

ზოგადი დებულება.

1. საქართველოს სენატი არის უზენაესი სასამართლო. იგი: 1) თვალყურს ადევნებს კანონის დაცვასა და სისწორით ასრულებას მთავრობის ყოველი დაწესებულებისა, თანამდებობის პირისა და ადგილობრივ თვითმართველობის ორგანოების მიერ; 2) განაგებს სასამართლო ნაწილს, როგორც საკასაციო სასამართლო, და 3) შეასრულებს ყოველ სხვა მოვალეობას, ამა დებულებაში აღნიშნულს.

2. სენატი ჰმოქმედებს იმ წესითა და იმ ფარგლებში, რომელიც დადგენილია „სასამართლო დაწესებულებათა დებულებასა", „სისხლის სამართლის წარმოების წესდებასა", „სამოქალაქო სამართლის წარმოების წესდებასა" და სხვა სათანადო კანონდებულებაში, რამდენადაც ეს კანონდებულებანი შეცვლილი არ არის სენატის ამა დებულებით, ან რესპუბლიკის სხვა მომქმედის კანონით.

3. სასამართლოს და მთავრობის დაწესებულებანი, თანამდებობის პირნი და ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოები ვალდებულნი არიან დაემორჩილნენ სენატის გადაწყვეტილებას იმ საქმეში, რომლის გამო ის გადაწყვეტილებაა გამოტანილი; ხოლო სენატის ის გადაწყვეტილება, რომელიც სხვა საქმეთა შესახებ არის გამოტანილი და გამოქვეყნებულია „სამოქ. სამართ. წარმოების წესდ." 815 მუხ. და „სისხ. სამართ. წარმოების წესდების" 933 მუხლის თანახმად, სახელმძღვანელოდ უნდა იყოს მიღებული კანონის ერთნაირად ასრულებისა და განმარტებისათვის.

4. უკეთუ სენატმა საქმის განხილვის დროს რაიმე ბოროტ-მოქმედება ან დაუდევრობა აღმოაჩინა რომელსამე უწყებაში, სათანადო მინისტრს უნდა ეცნობოს; ხოლო თუ ბოროტ-მოქმედება ან დაუდევრობა ჩადენილია მინისტრის მიერ, რესპუბლიკის მთავრობას უნდა ეუწყოს.

5. სენატი დანიშნავს, როცა საჭიროდ დაინახავს, სასამართლო დაწესებულებისა, მისი ცალკე ნაწილისა და სასამართლო უწყების მოხელეთათვის რევიზიას.

6. უკეთუ სენატი დაინახავს, რომ მინისტრის ან მთავრობის სხვა უმაღლეს წარმომადგენლის ცირკულიარი, განკარგულება ან სავალდებულო დადგენილება ეწინააღმდეგება კანონს, განკარგულება უნდა გასცეს მათის მოქმედების შეჩერებისათვის, ან გააუქმოს იგი სავსებით, ან ნაწილობრივ.

შენიშვნა: ყოველ მინისტრს და მთავრობის სხვა უმაღლეს წარმომადგენელს დაევალოს წარუდგინოს სენატს, გამოცემისათანავე, თავის ცირკულიარის, სავალდებულო დადგენილების, ინსტრუქციის, განმარტების და ზოგადი ხასიათის განკარგულების პირი.

7. სენატის ყოველი გადაწყვეტილება და საბოლოო დადგენილება უნდა ეცნობოს სათანადო დაწესებულებას და თანამდებობის პირს ასასრულებლად ბრძანების სახით. უკეთუ ბრძანება სასამართლო საქმეს არ შეეხება, მისი პირი სათანადო მინისტრს უნდა გაეგზავნოს.

8. სენატი თავის მოღვაწეობის ანგარიშს ყოველ წელს წარუდგენს პარლამენტს.

თავი მეორე.

სენატის ორგანიზაცია და შედგენილობა.

9. სენატი იმყოფება ქ. ტფილისში და შესდგება ორი საკასაციო დეპარტამენტისაგან: სისხლის სამართლისა და სამოქალაქოსაგან. სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტში დაარსდება საადმინისტრაციო განყოფილება.

10. ამას გარდა, სენატში დაარსდება საკასაციო დეპარტამენტთა საზოგადო კრება და საკასაციო დეპარტამენტთა შეერთებული საკრებულო.

11. თვითეულ საკასაციო დეპარტამენტსა ჰყავს შტატით განსაზღვრული რიცხვი სენატორებისა. სენატს ჰყავს თავმჯდომარე და თავმჯდომარის ამხანაგი. თავმჯდომარე განაგებს ამავე დროს ერთ-ერთს დეპარტამენტს, რომელსაც თვით აირჩევს, ხოლო მისი ამხანაგი—მეორეს.

12. სენატის თავმჯდომარეს და მის ამხანაგს, სენატორის მოვალეობის ასრულების გარდა, მიენდობა: თავმჯდომარეობა დეპარტამენტში, მოსახსენებელ საქმეების განაწილება სენატორთა შორის, დანიშვნა გამწესრიგებელ და სასამართლოს სხდომებისა და საქმის წარმოების მეთვალყურეობა დეპარტამენტში.

13. როცა სენატის თავმჯდომარეს ან მის ამხანაგს სამსახურის შესრულება არ შეუძლიან ავადმყოფობის ან სხვა მიზეზის გამო, მის მოვალეობას შეასრულებს იმავე დეპარტამენტის სენატორი, სხვაზე ადრე არჩეული, ხოლო ერთ დროს არჩეულთაგან—წლოვანებით უხუცესი.

14. საკასაციო დეპარტამენტთა საზოგადო კრებაზე და შეერთებულ საკრებულოში თავმჯდომარეობს სენატის თავმჯდომარე, ხოლო თუ ის ვერ დაესწრო—მისი ამხანაგი. საზოგადო კრებისა და შეერთებულ საკრებულოს საქმის წარმოება მოეწყობა იმ დეპარტამენტში, რომელსაც განაგებს სენატის თავმჯდომარე.

15. შეერთებული საკრებულო, თავმჯდომარეს გარდა, შესდგება ოთხ სენატორისაგან, რომელსაც სენატის საზოგადო კრება ირჩევს ერთი წლის ვადით ორივე დეპარტამენტის შედგენილებიდან.

16. თვითეულ საკასაციო დეპარტამენტში არსებობს დეპარტამენტის საკრებულო და განყოფილების საკრებულო.

17. დეპარტამენტის, საზოგადო კრებისა და შეერთებულ საკრებულოს სხდომას უნდა დაესწროს საქმეთა განხილვის დროს ორ მესამედზე მეტი იმ სენატორთა რიცხვისა, რომელთაგანაც შესდგება, კუთვნილებისამებრ, დეპარტამენტის საზოგადო კრება და შეერთებული საკრებულო, ხოლო განყოფილების სხდომას—სამ სენატორზე არა ნაკლები. სხდომას უნდა დაესწრნენ აგრეთვე სენატის პროკურორი, ან მისი ამხანაგი და მდივანი.

18. უკეთუ განყოფილების ან დეპარტამენტის სხდომას არ დაესწრო წინა მუხლში განსაზღვრული რიცხვი სენატორებისა, თავმჯდომარე დაუყოვნებლივ მოიწვევს იმავე დეპარტამენტის, ან, თუ ეს შეუძლებელია, მეორე დეპარტამენტის სენატორთა საჭირო რიცხვს.

19. განყოფილების ან დეპარტამენტის სხდომაზე საქმეების განხილვა სწარმოებს ამ დებულების მე 2 მუხლის თანახმად.

20. სენატორებს და მათ შორის თავმჯდომარეს და მის ამხანაგს აირჩევს პირველად დამფუძნებელი კრება ორი წლის ვადით, ხოლო შემდეგ პარლამენტი—ოთხი წლის ვადით.

შენიშვნა: სენატორები ასრულებენ სამსახურს, თუნდაც ვადა გასული ჰქონდეთ, ახლების არჩევამდე.

21. თუ რომელსამე საკასაციო დეპარტამენტში განთავისუფლდა სენატორის ადგილი ვადის გასვლამდე, ახალი სენატორი არჩეულ იქნება დანარჩენი ვადით.

22. არ შეიძლება სენატორის დათხოვნა ან ერთი დეპარტამენტიდან მეორეში გადაყვანა მისი სურვილის წინააღმდეგ. თანამდებობიდან მისი დროებით გადაყენება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ სამართალში ან გამოძიებაში იქნება მიცემული; სენატორის სრულიად დათხოვნა თანამდებობიდან შეიძლება მხოლოდ სასამართლოს განაჩენის ძალით.

23. სენატის თავმჯდომარეს, მის ამხანაგს, სენატის პროკურორს და მის ამხანაგს შეუძლიანთ ისარგებლონ წელიწადში ორი თვის თავისუფლებით. ამ ვადის განგრძობა კიდევ ერთი თვით სენატის თავმჯდომარისა, მისი ამხანაგისა და სენატორისათვის შეუძლიან მხოლოდ სათანადო დეპარტამენტს, ხოლო სენატის პროკურორისა და მისი ამხანაგისათვის—იუსტიციის მინისტრს.

24. დეპარტამენტთა საზოგადო კრების და შეერთებულ საკრებულოს საქმეთა წარმოების წესრიგი განისაზღვრება სენატის განაწესით. ამ განაწესის პროექტს, დეპარტამენტის მიერ შედგენილს, საზოგადო კრება ამტკიცებს.

25. ყოველ დაწესებულებასთანა და თანამდებობის პირთან სენატს აქვს პირდაპირი მიწერ-მოწერა.

26. სენატის თვითეულ დეპარტამენტს აქვს თავისი კანცელარია, რომლის მოხელეთა რაოდენობა და ჯამაგირი შტატით განისაზღვრება; კანცელარიის მოხელეებს დანიშნავს სენატის თავმჯდომარე.

27. სენატთან არსებობს საკოდიფიკაციო განყოფილება, რომლის ხელმძღვანელობა ეკუთვნის სენატის თავმჯდომარეს. საკოდიფიკაციო განყოფილების კანცელარია განისაზღვრება შტატით.

თავი მესამე.

სენატის საპროკურორო ნაწილი.

28. სენატთან დაარსდება ორი პროკურორის თანამდებობა: ერთი სისხლის სამართლის დეპარტამენტისა და მეორე—სამოქალაქოსათვის. მათ ჰყავთ ამხანაგები, რომელთა რიცხვი განისაზღვრება შტატით.

29. პროკურორებს და მათ ამხანაგებს დანიშნავს მთავრობა.

30. პროკურორი ან, მის მიერ დანიშვნით, მისი ამხანაგი წარუდგენს სენატს თავის დასკვნას ყოველ საქმის შესახებ, რომელიც შეტანილია განსახილველად სენატის საზოგადო კრებასა, შეერთებულ საკრებულოსა, საკასაციო დეპარტამენტსა და მის განყოფილებაში საკასაციო წესით თუ არსებითად.

31. თვითეულ პროკურორს აქვს თავისი კანცელარია, რომლის მოხელეთა რიცხვი და ჯამაგირი განისაზღვრება შტატით. მოხელეებს დანიშნავს სათანადო დეპარტამენტის პროკურორი.

თავი მეოთხე.

სენატის კომპეტენცია.

32. სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტს ექვემდებარება ყოველი საქმე, რომელიც აღნიშნულია „სასამართლო დაწესებულებათა დებულებასა„, „სისხლის სამართლის წარმოების წესდებასა„, სამხედრო სასამართლოს წესდებათა და სხვა სათანადო კანონდებულებაში.

33. სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტს ექვემდებარება ყოველი საქმე, რომელიც აღნიშნულია „სასამართლო დაწესებულებათა დებულებას„, "სამოქალაქო სასამართლოს წარმოების წესდებასა" და სხვა სათანადო კანონდებულებაში.

34. სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის საადმინისტრაციო განყოფილებას ექვემდებარება:

1. საჩივარი და პროტესტი ოლქის სასამართლოს საადმინისტრაციო განყოფილების გადაწყვეტილების შესახებ;

2. საჩივარი მინისტრების მოქმედებისა და განკარგულების შესახებ;

3. თხოვნა მის მიერ საადმინისტრაციო საქმის გამო დადგენილ გარდაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ (50 მუხ.);

4. გადაწყვეტა მთავრობის დაწესებულებათა შორის კომპეტენციის გამო ატეხილ დავისა;

5. განხილვა ყოველი საქმისა, რომელიც შეეხება ხაზინის სასარგებლოდ ყოველნაირ გადასახადისა და ბაჟის აღებას, აგრეთვე განსაზღვრულ შემთხვევაში კანონდებულებათა დარღვევის აღმოჩენისათვის ჯილდოს მიცემას;

6. სახაზინო მართვა-გამგეობის საქმის განხილვა იმ შემთხვევაში იმ წესით, რომელიც

აღნიშნულია სათანადო კანონებში (მუხ. 1297, 1301, 1307 სამოქალაქო სამართლის წარმოების წესდებისა, გამოც. 1914 წ., მუხ. 7 გამოც. 1910 წ. და შენიშვნა მე-2 ამავე მუხლისა, 1912 წ. გაგრძ., მუხ. 23—30 ხაზინის უდაო მოთხოვნილებით გადასახადთა აღების დებულებისა, გამოც. 1910 წ. და სხვა);

7. განხილვა ყოველი საქმისა, რომელიც შეეხება სხვა და სხვა შემთხვევის გამო ხაზინაში უკანონოდ შესულ ფულის დაბრუნებას;

8. განსაზღვრულ შემთხვევაში საჯარო ვაჭრობათა და ხელშეკრულებათა დამტკიცება, საჯარო ვაჭრობის ნებართვა და აგრეთვე საჯარო ვაჭრობის უნაყოფობის გამო უძრავ ქონებათა ხაზინის საკუთრებად ჩარიცხვა;

9. მფლანგველის ქონებისათვის მეურნეობის დაწესება;

10. იმ მამულის დაგირავების საქმე, რომელიც ვისსამე მფლობელობაშია მის სიცოცხლეში;

11. საქმე ვისიმე ჭკუა გონების მდგომარეობის შემოწმებისა;

12. ერობისა და ქალაქის თვითმმართველობათა მიერ არჩეულ მომრიგებელ მოსამართლეთა დამტკიცება და ამ არჩევნების გამო შეტანილ საჩივრის განხილვა;

13) მომრიგებელ მოსამართლის, მისი თხოვნის თანახმად, სამსახურიდან დათხოვნა;

14) მომრიგებელ-მოსამართლის სამსახურისაგან განთავისუფლება ორ თვეზე მეტის ვადით;

15) საერთოდ ყოველი საქმე, რომელიც კანონით სენატს ექვემდებარება და არ ეკუთვნის სენატის სისხლის სამართლის, ან სამოქალაქო დეპარტამენტის, ან საზოგადო კრების, ან დეპარტამენტთა შეერთებულ საკრებულოს განსახილველ საკითხების რიცხვს;

35. სენატის საკასაციო დეპარტამენტთა საზოგადო კრებას ექვემდებარება:

1) არსებითად საბოლოო გადაწყვეტა საჩივრისა და პროტესტისა იმ საქმის გამო, რომელიც განიხილა სენატის საადმინისტრაციო განყოფილებამ როგორც პირველმა ინსტანციამ;

2) საბოლოო გადაწყვეტა იმ დავისა, რომელიც აღიძვრის კომპეტენციის გამო სასამართლო და მთავრობის დაწესებულებათა შორის და აგრეთვე სხვა და სხვა უწყების სასამართლოს შორის;

3) განხილვა სააპელაციო საჩივრისა, რომელიც შეტანილია სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის გადაწყვეტილების გამო და შეეხება საადმინისტრაციო უწყების და ადგილობრივ თვითმართველობის მოხელეთა ისეთ უკანონო მოქმედებით ან დაუდევრობით მიყენებულ ვნებისა ან ზარალის ანაზღაურებას, რომელიც ან სრულიად არ ეკუთვნის სისხლის სამართლის უწყებას, ან რომლის შესახებ სისხლის სამართლის წარმოება მოსპობილია ან შეჩერებული;

4) განხილვა თხოვნისა იმ გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ, რომელიც დადგენილია სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის მიერ სააპელაციო წესით წინა მუხლში ნაჩვენებ საქმეზე, და აგრეთვე განხილვა როგორც თხოვნისა ამ გადაწყვეტილების გადასინჯვის, ისე ამ გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ იმ პირთა თხოვნით, რომელთაც საქმეში მონაწილეობა არა ჰქონიათ მიღებული;

5) განხილვა თხოვნისა, რომ ნება დაერთოს მთხოვნელს მოსთხოვოს სენატორს ზარალი, მიყენებული იმათი ისეთ უკანონო, ან მიკერძვით, ან დაუდევარი მოქმედებით, რომელიც ან სრულიად არ ექვემდებარება სისხლის სამართლოს, ან რომლის გამო სისხლის სამართლით დევნა მოსპობილია ან შეჩერებული;

6) გადაწყვეტა სენატის ქვემდებარე სადისციპლინო საქმისა სასამართლო უწყების თანამდებობის პირთა და, მათ შორის, სენატორთა შესახებ, იმ შემთხვევათა გამოკლებით, რომელიც აღნიშნულია „სასამართლო დაწესებულ. დებულების“ 295^{3} მუხლში.

7) გადაწყვეტა იმ საკითხისა, რომელიც გადატანილია საზოგადო კრების განსახილველად სენატის რომელისამე დეპარტამენტის დადგენილებით;

8) დამტკიცება შეერთებულ საკრებულოში განხილულ საერთო განაწესისა სასამართლო დაწესებულებათათვის;

9) დამტკიცება სენატის საკასაციო დეპარტამენტებისათვის შედგენილ განსაკუთრებულ განაწესისა;

10) დროებით გადაყენება სამსახურიდან სენატის თავმჯდომარისა, მისი ამხანაგისა და სენატორებისა, თუ ისინი სამართალში ან გამოძიებაში იქნებიან მიცემულნი;

11) გადაწყვეტა იმ საკითხისა, რომელიც აღნიშნულია ამა დებულების მეექვსე და ოცდა მეექვსე მუხლში, და

12) დანიშვნა ოლქის სასამართლოს და პალატის წევრთა, თავმჯდომარეებისა და მათი ამხანაგებისა; თვითეულ ამ თანამდებობისათვის ოლქის სასამართლოს და პალატის საზოგადო კრებანი კუთვნილებისამებრ წარუდგენენ სენატს ორ ორ კანდიდატს; უკეთუ სენატი არც ერთს არ იცნობს დანიშვნის ღირსად, თვით დანიშნავს თავის კანდიდატს; თანამდებობის პირთა დანიშვნა მოხდება სენატის საზოგადო კრებაზე ახდილი ხმის მიცემით;

36 სენატის საკასაციო დეპარტამენტთა შეერთებულ საკრებულოს ექვემდებარება:

1) უზენაესი მეთვალყურეობა ყველა სასამართლო დაწესებულებისა და სასამართლო უწყების თანამდებობის პირთა და იმათი მოღვაწეობის რევიზიის დანიშვნა;

2) განხილვა განცხადებისა და თხოვნისა მოსამართლის გადაყენების შესახებ;

3) საჩივარი და პროტესტი სასამართლო პალატის ისეთი დადგენილების გამო, რომლითაც გადაჭრილია საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად აკმაყოფილებს ვექილობის მსურველი კანონით დადგენილ ფორმალურ პირობებს, და

4) განხილვა სასამართლო დაწესებულებათა მიერ შედგენილი განსაკუთრებული განაწესისა, უკეთუ იუსტიციის მინისტრი წარუდგენს შეერთებულ საკრებულოს იმის გამო, რომ ეს განაწესი არ არის შეთანხმებული კანონთან ან და უხერხულობას ჰქმნის ასრულების დროს.

თავი მეხუთე.

სენატის დეპარტამენტებში საქმეთა წარმოების წესი.

37. სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტში საქმე სწარმოებს იმ წესით, რომელიც აღნიშნულია „სისხლის სამართლის წარმოების წესდებაში.“

შენიშვნა: სამხედრო სასამართლოს განაჩენის გამო შეტანილი საჩივრისა და პროტესტის განხილვის დროს სენატი იხელმძღვანელებს სამხედრო სამართლის წესდებით.

38. სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტში საქმეები სწარმოებს იმ წესით, რომელიც აღნიშნულია „სამოქალაქო სამართლის წარმოების წესდებაში.“

39. სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის საადმინისტრაციო განყოფილებაში ის საქმე, რომელიც აღნიშნულია საადმინისტრაციო სასამართლოს დებულებაში და ამა დებულების 34 მუხლის მეორე პუნქტში, სწარმოებს იმ წესით, რომელიც აღნიშნულია 40—53 მუხ.

40. საადმინისტრაციო განყოფილების განსახილველად წარდგენილი საქმეები უნდა განაწილდეს სენატორთა შორის მოსახსენებლად.

41. საქმის განხილვის დღე უნდა ეცნობოს როგორც დაწესებულებასა და თანამდებობის პირს, რომელთა მოქმედება და განკარგულება განსაჩივრებულია, ისე საქმის ყოველ მონაწილეს, რომელიც განუცხადებს სენატს თავის მისამართს.

42. მოდავეთა ვექილად ყოფნა შეუძლიან იმ პირს, რომელსაც სასამარ. დაწესებულებათა დებულებით და სამოქალაქო სამართლის წარმოების წესდებით უფლება აქვს აწარმოოს სამოქალაქო საქმეები სასამართლო დაწესებულებაში. დაწესებულებასა და თანამდებობის პირს შეუძლიან გაგზავნოს სენატის სხდომაზე განმარტებათა წარსადგენად თავისი რწმუნებული საერთო წესით.

43. საქმის მოხსენება და მოდავეთა სიტყვიერი განმარტება საჯაროდ სწარმოებს, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც სენატი საჯარო განხილვას ვერ სცნობს შესაძლებლად ზნეობის ინტერესის მიხედვით. დადგენილება საქმის დახურულ კარებში მოსმენის შესახებ საჯაროდ უნდა იქნეს გამოცხადებული.

44. საქმის მოხსენების შემდეგ სენატი მოისმენს საქმეში მონაწილეთა, იმათ ვექილთა და რწმუნებულთა განმარტებას და სენატის პროკურორის ან მისი ამხანაგის დასკვნას.

45. უკეთუ საქმის მოსმენის დროს თუნდ ერთი სენატორთაგანი განაცხადებს, რომ საჭიროა საქმე დეპარტამენტში განხილულ იქნეს, იგი დეპარტამენტს უნდა გადაეცეს განსახილველად.

46. მოდავეთა განმარტებისა და პროკურორის ან მისი ამხანაგის დასკვნის მოსმენის შემდეგ სენატი გამოიტანს რეზოლიუციას იმ მოტივების აღნიშვნით, რომელიც საფუძვლად დაედვა დადგენილ გადაწყვეტილებას, ან უმოტივოდ; უკანასკნელ შემთხვევაში სენატი დაასაბუთებს თავის გადაწყვეტილებას ერთი კვირის განმავლობაში დღიდან რეზოლიუციის გამოცხადებისა. რთულ საქმისათვის სენატი შეადგენს უფრო ვრცელ დადგენილებას. სენატის რეზოლიუცია და დადგენილება გაეგზავნება აღსასრულებლად სათანადო დაწესებულებას და თანამდებობის პირს.

47. საადმინისტრაციო სასამართლოს დებულებასა და ამა დებულების 34 მუხლის მე-2 პუნქტ. აღნიშნულ საქმეზე აღძრულ როგორც საჩივრისა, ისე პროტესტის გამო სენატს შეუძლიან საქმის არსებითად გადაწყვეტამდე დაადგინოს, რომ შეჩერებულ იქნეს განკარგულება, დადგენილება ან მოქმედება, რომელზედაც საჩივარი ან პროტესტია შეტანილი.

48. საქმის საბოლოო განხილვის შემდეგ სენატი დაადგენს:

1) ან იმას, რომ საჩივარი ან პროტესტი უშედეგოდ იქნეს დატოვებული;

2) ან იმას, რომ დადგენილება, განკარგულება ან მოქმედება, რომელზედაც საჩივარი ან პროტესტია შეტანილი, გაუქმებულ იქნეს.

3) ან იმას, რომ აცნობოს სათანადო დაწესებულებას ან თანამდებობის პირს, რომ თავი შეიკავოს განსაზღვრულ მოქმედებისაგან, ან მოახდინოს განსაზღვრული მოქმედება, რომელიც მისთვის სავალდებულოა კანონის ან მთავრობის დადგენილების ძალით, ან რომელიც საჭიროა კანონიერ წესის ან მოჩივანის უფლების აღსადგენად,

და 4) ან იმას, რომ შეცვლილ იქნეს გასაჩივრებული ან პროტესტის გამომწვევი დადგენილება ან განკარგულება, თუ ასეთი ცვლილება მხოლოდ საქმის მონაწილე პირთა უფლებას შეეხება.

49. საადმინისტრაციო განყოფილების გადაწყვეტილებაზე, თუ ეს გადაწყვეტილება ისეთ საქმეს შეეხება, რომელიც პირველად ამ განყოფილებაშია აღძრული და განხილული, როგორც პირველ ინსტანციაში, საქმეში მონაწილე პირთ შეუძლიანთ შეიტანონ საჩივარი, ხოლო მინისტრებსა და სხვა თანამდებობის პირთ—პროტესტი სენატის საკასაციო დეპარტამენტთა საზოგადო კრებაში.

50. წინა მუხლში აღნიშნული საჩივარი და პროტესტი უნდა შეტანილ იქნეს ერთი თვის განმავლობაში სენატის დადგენილებისა ან დასაბუთებული რეზოლიუციის გამოცხადების დღიდან და უნდა წარედგინოს იმავე საადმინისტრაციო განყოფილებას, რომელმაც დაადგინა გასაჩივრებული გადაწყვეტილება. თხოვნა და წარდგენილება დადგენილების გადასინჯვის შესახებ, შეტანილი ათი წლის გასვლის შემდეგ დადგენილების დღიდან, განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული. თუ თხოვნა ან წარდგენილება შეეხება ისეთ დადგენილების გადასინჯვას, რომლის შეცვლა გავლენას იქონიებს საქმეში მონაწილის უფლებაზე, უნდა იქნეს წარდგენილი ამ თხოვნის ან პროტესტის პირი, რომელიც გაეგზავნება მას, უკეთუ მისი მისამართი იცის სენატმა. დადგენილებას გადასინჯავს სათანადო დეპარტამენტი, თუნდაც იგი გამოტანილი იყოს განყოფილების მიერ.

51. სენატის იმ დადგენილების შეცვლა და გაუქმება, რომელშიაც საადმინისტრაციო საქმე არსებითად არის გადაჭრილი, შეიძლება დაინტერესებული პირის თხოვნით ან მინისტრის წარდგენილებით შემდეგ შემთხვევაში:

1) უკეთუ ისეთი ახალი გარემოება აღმოჩნდა, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმის ასე თუ ისე გადაწყვეტისათვის;

2) უკეთუ სიყალბე აღმოჩნდა ისეთ აქტში, ან სიცრუე მოწმისა ისეთ ჩვენებაში, რომელზედაც დადგენილებაა დამყარებული;

3) უკეთუ იმ საქმეში, რომლის გამოც დადგენილებაა გამოტანილი, აღმოჩნდება შიგ მონაწილე პირის ან მისის წარმომადგენლის ბოროტმოქმედება, ან თანამდებობის პირის სამსახურის დანაშაული, საქმესთან დაკავშირებული, და

4) თუ დაწესებულების ან მოხელის განკარგულება სათანადო წესით უკანონოდ ცნობილ და გაუქმებულ იქნება და ამ გაუქმებას შეუძლიან გავლენა იქონიოს გამოტანილ დადგენილებაზე.

52. თხოვნა და წარდგენილება დადგენილების გადასინჯვის შესახებ (მუხ 51) შეტანილ უნდა იქნეს ოთხი თვის განმავლობაში. ეს ვადა გამოიანგარიშება:

1) 51 მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ შემთხვევისათვის იმ დღიდან, როდესაც მთხოვნელმა შეიტყო ის ახალი გარემოება, რომელიც საფუძვლად უძევს დადგენილების გადასინჯვის თხოვნას;

2) 51 მუხლის მეორე და მესამე პუნქტში აღნიშნულ შემთხვევისათვის: იმ დღიდან, როცა ძალაში შევიდა სისხლის სამართლის განაჩენი; უკეთუ სისხლის სასამართლოში საქმის წარმოება შეჩერებულია ან მოსპობილი, დღიდან შეჩერებისა ან მოსპობისა; უკეთუ სისხლის სასამართლოში საქმის აღძვრა არ შეიძლებოდა, დღიდან ბოროტმოქმედების აღმოჩენისა, და

3) 51 მუხლის მეოთხე პუნქტში აღნიშნულ შემთხვევისათვის იმ დღიდან, როცა გაუქმებულ იქნა დაწესებულების ან თანამდებობის პირის უკანონო განკარგულება.

53. საჩივარი მინისტრის მოქმედებაზე (34 მუხ. მეორე პუნქტი) შეტანილ უნდა იქნეს იმ ვადისა და წესის დაცვით, რომელიც აღნიშნულია საადმინისტრაციო სასამართლოს დებულების მეთვრამეტე მუხლში.

1919 წ. ივლისის 29-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი
ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე
ევგ. გეგეჭკორი.

საქართველოს სენატის შტატი და ხარჯთაღრიცხვა.

№№ რიგ.	სახელწოდება და თანამდებობა.	რიცხვი.	თვეში.	თითოს წლიურად	ყველას წლიურად
1	სენატის თავმჯდომარე	1	4200	50400	50400
2	მისი ამხანაგი	1	3900	46800	46800
3	სენატორები.				
	ა. სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტისა	8	—	—	—
	ბ. სისხლის სამართლის დეპარტ.	5	—	—	—
	სულ	13	3600	43200	561600
4	სენატის პროკურორი ორი დეპარტამენტისა.	2	3900	46800	93600
5	სენატის პროკურორის ამხან.	5	3400	40800	204000
6	სენატის მდივანი	2	2500	30000	60000
7	მდივნის თანაშემწე	5	2000	24000	120000
8	სენატის პროკურორების მდივანი	2	1800	21600	43200
9	თარჯიმანი	1	1500	18000	18000
10	არქივარიუსი	1	1200	14400	14400
11	სასამართლოს ბოქაული	2	1200	14400	28800
12	სასამართლოს იასაული	2	800	9600	19200
13	კანცელარიის მოხელენი დეპარტამენტებისა და პროკურორების კანცელარიებში და არქივებში	15	800	9600	144000
13	შიკრიკი	4	600	7200	28800
	სულ	56	—	—	1432800
15	სამეურნეო და საკანცელარიო ხარჯი				
	ა. სენატისათვის				
	ბ. სენატის პროკურორებისათვ.	—	5000	60000	60000
	საგზაო და დღიური ხარჯი სენატორისათვის	—	4000	48000	48000
16	რევიზიის დროს	—	2000	24000	24000
	სულ	—	—	—	1564800

1919 წ. ივლისის 29-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **ევგ. გეგეჭკორი.**

ᲔᲠᲝᲑᲐ.

ოზურგეთის ერობაში

(დასასრული).

გამგეობის წევრი ბერეჟიანი მოხსენებას აკეთებს ერთდროული სანიტარული გადასახადის დაწესების შესახებ. ეს კითხვა წესრიგში არ იყო, მაგრამ ყრილობამ, ხმ. ბ. ჩხიკვიშვილის წინადადების თანახმად, და სხვა. მომხსენებელი აცნობს ყრილობას დამფ. კრების მიერ მიღებულ კანონს სანიტარული გადასახადის დაწესების შესახებ და უდგენს გამგეობის მიერ შემუშავებულ პროექტს—თუ რომელი საზოგადოება და დაბა რამდენით უნდა დაიბეგროს. ამ პროექტის თანახმად მთლად უნდა დაიბეგროს გურია 2,000,000 მანეთით. აქედან 820,000 მან. უნდა გადახდეს დაბებს და დანარჩენი სოფლის საზოგადოებებს. კამათის შემდეგ ეს საკითხი გადაეცა საფინანსო კომისიას შესასწავლად და შემდეგ სხდომაზე წარმოსადგენად.

უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლების შესახებ მოახსენებს ყრილობას გამგეობის წევრი 3. კვირკველია, მოხსენებიდან ირკვევა, რომ გურიაში არსებულ 23 უმაღლეს დაწყ. სასწავლებლიდან მთავრობამ მიიღო მხოლოდ ორი, დანარჩენი 21 ჯერ ჯერობით ინახება ხალხის მიერ. მომხსენებლის აზრით, საჭიროა ერობამ გადასდოს ამ სკოლების შესანახი თანხა და ამასთანავე აღძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რომ ეს სასწავლებლებიც მიღებული იქნას მთავრობის სასკოლო ბადეში.

ყრილობამ დაადგინა: „აღიძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რათა გურიაში არსებული 21 პირველ დაწყებითი სასწავლებლები ჩარიცხულ იქნას სახაზინო სკოლებათ. გადაიდოს 600,000 მან. ამ სკოლათა შესანახად იანვრამდე, დანარჩენი ხარჯები დაფარული იქნას სწავლის ფულის შემოსავლიდან; სწავლის ფასი გადიდდეს“. ყოველ შემთხვევისათვის ყრილობამ შეიმუშავა სია ამ სასწავლებლებისა იმ რიგათ, როგორადაც ისინი მიღებულ უნდა იქნას მთავრობის მიერ.

ნატანებ-ოზურგეთის რკინის გზის შესახებ მოხსენებას აკეთებს გამგეობის წევრი შ. ჰოჰუა. ის ამბობს: ერობას გადაწყვეტილი აქვს ამ გზის გამოყვანა, მთავრობა გვპირდება მასალასა და ტეხნიკურ ძალებს, საზოგადოებები გვპირდებიან შავი სამუშაოს უფასოდ შესრულებას; გზა უნდა გამოვიდეს ოზურგეთამდე, ექნება 16 ვერსი სიგრძე, მაგრამ უნდა გაგრძელდეს ვაკისჯვარ-შეკვეთილამდე, რაც ჯდება 6,400,000 მანეთამდე. მუშაობას ამ გზის მიმართულების გამოსაკვლევად უკვე აწარმოებს ინჟ. პროსინსკი; გამოკვლევის შემდეგ დამუშავებული პროექტი წარედგინება მთავრობას და მაშინ საბოლოოდ გადაწყდება—ერობა გაიყვანს ამ გზას, მთავრობა თუ გაიცემა კერძო პირზე.

ყრილობამ მოიწონა მოხსენება და დაადგინა—გადაიდვას 50,000 მან. გზის გამოკვლევის ხარჯებისათვის, ეთხოვოს ქ. ოზურგეთის გამგეობას—მიიღოს მონაწილეობა ამ ხარჯებში. დასასრულ ყრილობამ სურვილი გამოსთქვა—შესაძლებელია გაგრძელდეს ეს გზა ჩოხატაურამდე.

მომხსენებელი მოახსენებს ყრილობას ნატანებ-საჯევახოს შარა-გზის შესახებ.

ამ გზის შესახებ ადგენს: აღიძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რათა ამ გზის შესაკეთებლად, როგორც სტრატეგიული მნიშვნელობის გზის, მთავრობამ გადადვას აღნიშნული 752,000 მანეთამდე, სანამ მთავრობა გაიღებდეს ამ თანხას, ერობა შეუდგეს ამ გზის შეკეთებას თავისი საშუალებით.

იგივე ჰოჰუა აცნობს ყრილობას აცან-აკეთის გზის შესახებ გამგეობის გადაწყვეტილებას. მომხსენებლის სიტყვით აკეთის გზაზე 6 ვერსის, რომელიც დანგრეულია და შეკეთებას საჭიროებს.

მომხსენებლის აზრით, საჭიროა დაწესდეს ამ გზების გასაკეთებლად შრომის ბეგარა. მომხსენებელი მოითხოვს აგრეთვე ერობის საგზო-საამშენებლო შტატის გასადიდებლად 20,000 მან. გადადებას. ყრილობამ მომხსენებლის მიერ წამოყენებული დებულებები მიიღო და დაადგინა: „საზოგადო გზების შესაკეთებლად, რომლებიც ემსახურება რამდენიმე წვრილ ერთეულს, სამაზრო ერობის გამგეობამ აიღოს ინიციატივა თავის თავზე, რათა დაინტერესებული ერთეულები შეაკავშიროს გზის გაკეთების საქმეში. გაეწიოს წვრილ ერთეულებს დახმარება სამაზრო გამგეობის მიერ სასოფლო გზების გაკეთების საქმეშიდაც ტეხნიკური ძალებით“.

საფინანსო კომისიის სახელით მოახსენებს ყრილობას სანიტარული გადასახადების დაწესების შესახებ ხმ. ვ. ღლონტი; კომისიის აზრით, მაზრა უნდა დაიბეგროს 1,400,000 მ. სანიტარული ერთდროული გადასახადით, საზოგადოებებსა და დაბებზე ეს თანხა უნდა დაანაწილოს გამგეობამ წვრილ ერთეულთა დახმარებით კომლთა რაოდენობის მიხედვით. ყრილობა კომისიის აზრს დაეთანხმა და ადგენს: „დაწესებული იქნას მაზრაში ერთდროული სანიტარული გადასახადი 1,400,000 მ., გამგეობას უფლება ეძლევა ეს თანხა გაანაწილოს წვრილ ერთეულებზე და დაბებზე პროპორციონალურათ ისე, რომ საშუალოთ კომლზე, გარდა ვაჭრებისა, გადასახადი არ აღემატებოდეს 40 მან. ეს თანხა რჩება გამგეობის განკარგულებაში“.

გამგეობის წევრის გ. ბერეჟიანის მოხსენების თანახმად ყრილობამ დაადგინა—ნება მიეცეს გამგეობას აიღოს ერთი მილიონი მან. სესხი საწარმოო მიზნებისათვის.

დიდი კამათი გამოიწვია მოსამსახურეთა ჯამაგირების საკითხის შესახებ. ეს საკითხი გადაეცა განსახილველად საგანგებოდ არჩეულ კომისიას, რომელმაც მცირე მსჯელობის შემდეგ მოახსენა ყრილობას შემდეგი: მიემატოს მოსამსახურეებს—60% იმათ, ვინც 500 მან.-მდე ღებულობს; 40% ვინც 800 მან. ღებულობს; 30%, ვინც 800—1000 მდე ღებულობს. და 20%, ვინც 1000 მან. ზევით ღებულობს, გამგეობის თავმჯდომ. დაენიშნოს 2500 მან., წევრებს 2,000 მან., მიეცეს სტატისტ. განყ. გამგეს 1,500 მან. თვეში, მიემატოს საადგილ მამულო განყ გამგეს 500 მან. თვეში და მდივანს 300 მან. ყრილობამ უკამათოდ მიიღო კომისიის მიერ წარმოდგენილი პროექტი ჯამაგირების მომატების შესახებ და დაამტკიცა.

ხმ. ბეჟან ხუნდაძე მოახსენებს ყრილობას ოქმს იმ კომისიის მუშაობისას, რომელიც არჩეული იყო 25—29 მარტის ყრილობის მიერ ყოფილ სამაზრო სასურსათო და დამხმარე კომიტეტების სარევიზიოდ. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ სასურსათო კომიტეტში რევიზიამ ყველაფერი რიგზე ნახა, დამხმარეში კი არა, და მოითხოვს დამხმ. კომიტ. ყოფ. თავმჯდომარის ნ. მგელაძის პასუხისგებაში მიცემას. ყრილობა ადგენს—რევიზია გაგრძელდეს, მგელაძის საქმე კი გადაეცეს გამოსაძიებლად გამომძიებელს.

უკანასკნელად ყრილობა მსჯელობს რა ზოგიერთ შეკითხვის შესახებ, გამოაქვს შემდეგი დადგენილებანი: „ხმ. კ. დანელიას შეკითხვის გამო ბახმაროს შესახებ მიენდოს გამგეობას გამოიძიოს—მართლა აქვს ადგილი იქ ბახმაროს საზ. ჯანმრთელობის გამგეობისა და კომისრის უწესო მოქმედებას (უსამართლო ჯარიმის გადახდევინება, საგანგებო საგარაკო შემოსავლის დაწესება და სხვა) თუ არა. სანიტარულ გადასახადათ ბახმაროზე კი დაწესდეს—დიდებზე 10 მან., პატარებზე 5 მან.

დაევალოს გამგეობას მიიღოს სასტიკი ზომები მაზრაში დეზერტირების წინააღმდეგ, მიიღოს გამგეობამ სასტიკი ზომები იმ ბნელი ძალებისა და პროვოკატორების წინააღმდეგ, რომლებიც ბოლშევიზმის სახით გამოდიან მაზრაში, ავრცელებენ ფურცლებს, ამხედრებენ ხალხს და მით საუკეთესოდ აკეთებენ დენიკინის საქმეს.

პრინციპიალურათ მიღებული იქნას მოსამსახურეთ საპენსიო კასის დაარსების იდეა. დაევალოს გამგეობას შემდეგ ყრილობაზე წარმოადგინოს დამუშავებული პროექტი ამის შესახებ.

დასასრულ ყრილობა გადადის არჩევნებზე. ასარჩევია გამგეობის თავმჯდომარე და ერთი წევრი. სოც. დემ. ფრაქციის სახელით ხმ. 37 ღლონტი აღნიშნავს, დიდ ღვაწლს, რაც მიუძღვის გამ. ყოფილ თავმჯდომარეს ვლ. ცეცხლაძეს ოზურგეთის ერობის წინაშე, ულმეს მადლობას უძღვნის მას შრომისათვის და გამგეობის თავმჯდომარის ადგილზე ასახელებს სიო ჭანტურიშვილს. თავმჯდომარე აცხადებს, რომ გამგ. წევრი გ. შილაკაძეც გავიდა გამგეობიდან ხმ. ვ. ღლონტი მის მაგიერ გამგ. წევრათ ასახელებს კალ. ქავთარაძეს. ყრილობა ერთხმად ირჩევს მათ. ერობათა წარმომადგენლების ყრილობაზე დასასწრებლად ყრილობა ირჩევს დელეგატებს კ. ნინიძეს, ს. ჭანტურიშვილსა და ტ. ართმელაძეს.

ხუსეინ.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲛᲝᲡᲕᲚᲐ.

27 აგვისტოს ბათუმში ჩამოვიდა ინგლისის პარლამენტის წარმომამადგენელი უერდროპი. 28-ს უერდროპისთვის გაიგზავნა სასწრაფო მატარებელი. გზათა სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორის ვ. ჰიჰინაძის განკარგულებით მის გამოსაცილებლათ ბათუმში გაიგზავნა ექსპლუატაციის უფროსი გ. აბელოვი.

ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ.

§ 4.

საკანონმდებლო ხელისუფლების იურიდიული მდგომარეობა: სახალხო სუვერენიტეტი და საკანონმდებლო ხელისუფლება.

II. დემოკრატიაში ხელისუფლების განაწილებითურთ და პარლამენტარულ დემოკრატიაში საკანონმდებლო ხელისუფლების აღმასრულებელ ხელისუფლების მიმართ დამოკიდებულებაზე სძევს უნდობლობა პირველისადმი და კონსტიტუციური კანონმდებელის ნდობა აღმასრულებელ ხელისუფლებისადმი, რომელსაც სცდილობენ გააძლიერონ საკანონმდებლო ხელისუფლებასთან შედარებით. პირიქით, უშუალო დემოკრატიაში, განსაკუთრებულ შვეიცარიაში, საერთო წესით ბატონობს ნდობა საკანონმდებლო ხელისუფლებისადმი და უნდობლობა აღმასრულებელისადმი. ამის შესახებ უკვე „Federalis“-ში № 47 ნათქვამია, რომ წარმომადგენლობითი დემოკრატიაში განსაკუთრებით უნდა ერიდონ საკანონმდებლო ხელისუფლებას და მის ბოროტმოქმედებას. მტკიცება, რომ მემკვიდრეობითი მონარქიაში და აგრეთვე უშუალო დემოკრატიაში უნდობლობითი დამოკიდებულება აღმასრულებელ ხელისუფლებისადმი სრულიად სამართლიანი, ვინაიდან აქ ხალხს არ ძალუძს მუდამ იმსჯელოს დიდხანს ან გაერთიანდეს გეგმაშეწონილ და კარგათ მოფიქრებულ მოქმედებისათვის, რის გამოც სწორეთ შესაძლებელი არიან ხელისუფლების მოყვარული ძიებანი აღმასრულებელი ხელისუფლების მხრივ. „მაგრამ იქ“,—განაგრძობს „Federalist“-ი—„სადაც, როგორც წარმომადგენლობითი დემოკრატიაში, აღმასრულებელი ხელისუფლება მკაცრათაა შეზღუდული, როგორც შეცულობის მხრივ, ისე თავის ხელისუფლების სიგრძის მხრივ, და სადაც საკანონმდებლო ხელისუფლება ხორციელდება კრებით, კრებით, რომელიც ხალხზე თავის გავლენის გამო თავის ძალაში მტკიცეთაა დარწმუნებული, კრების, რომელნიც საკმაოთ მრავალრიცხოვანია, რომ შეიგრძნოს ბრბოს დამახასიათებელი ვნებანი, მაგრამ არც იმდენათ მრავალრიცხოვანია, რომ თავის საკუთარ მიდრეკილებებს არ გაჰყვეს,—იქ ხალხმა მთელი თავისი იჭვი უნდა მიმართოს და მიიღოს სიფრთხილის ყოველი ზომა საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ უფლების ხელში ჩაგდებისაკენ მისწრაფების წინააღმდეგ“. ამიტომ „Federalist“-ი აქებ-ადიდებს საკანონმდებლო ხელისუფლების ორ ნაწილათ გაყოფის მიზანშეწონილებას, როგორც ეს განაწილება გამტკიცებულია საკავშირო კონსტიტუციით, და აგრეთვე მხარს უჭერს აღმასრულებელი ხელისუფლების გაზრდას მისვე განსამტკიცებლათ ვეტოს უფლებით საკანონმდებლო ხელისუფლების მიმართ: „როგორც საკანონმდებლო ხელისუფლების სიძლიერე მოითხოვს მის განაწილებას, ისე აღმასრულებელი ხელისუფლების სისუსტე, მეორე მხრივ,—მის გამაგრებას“. დაბოლოს, პარლამენტარულ რესპუბლიკაშიც საფუძველათ სძევს უნდობლობა ყოვლადშემძლე სახალხო პალატის მიმართ და პრევო-პარადოლი ამიტომ მოითხოვს, როგორც დაცვის იარაღს, „droit de dissolution“ გაშვების უფლებას, პრეზიდენტის მიერ ხალხში აპელაციის გადატანას.

თუ სახალხო პალატის უმრავლესობის განწყობილება მეტათ აღარ შეეფერება სახალხო ნებას, მაშინ არის შესაძლებლობა ახალი არჩევნების გზით ხალხში აპელაცია გადაიტანოთ. საინტერესოა, რომ ჩრდილო-ამერიკის საკავშირო კონსტიტუციის შემქნელებმა მხედველობაში მიიღეს „ხალხისადმი მიმართვის“ ასეთი შესაძლებლობა, მაგრამ უარყვეს იგი, როგორც საშუალება საკანონმდებლო ხელისუფლების ბოროტმოქმედების წინააღმდეგ იმიტომ, რომ მას შეეძლო დაერღვია წონასწორობა სახელმწიფოებრივ ხელისუფლების სამ ნაწილს შუა, მის ხშირ ხმარებას შეეძლო ხელი შეეშალა სახელმწიფოებრივ მმართველობის სიმტკიცისათვის და სახელმწიფოებრივი მანქანა რყევაში ჩაეგდო. პირიქით, ამ გაშვების უფლებას, რომელიც აღმასრულებელ ხელისუფლებას ეკუთვნის, თავისი გამოხატულება ჰპოვა 1865 წ. საფრანგეთის კონსტიტუციის ტექსტში, მაგრამ მისი იდეა, სწორეთ ისე როგორც შეერთებულ შტატებში, წარმოიშვა საკანონმდებლო ხელისუფლების მიმართ უნდობლობის გამო. კონსტიტუციის ერთი მამათაგანი ჰერცოგი Broglie ამის შესახებ ამბობს: „ამ ზომის ნამდვილი მიზეზი, პრაქტიკული საფუძველი არის მუდმივი სისუსტე, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, აღმასრულებელი ხელისუფლების მხრივ ბუნებრივი შიში, რომელიც სცდილობს განაიარაღოს ყოველი დაბრკოლება იმის მაგივრათ, რომ ვაჟკაცურათ ებრძოლოს მას და გაიმარჯვოს მაზე. მისთვის უმთავრესი დაბრკოლება მდგომარეობს სახალხო პალატაში: იგია მეტიჭობის კერა პრეტენზიების და კარიერიზმის ბუდე... იმის მაგივრათ რომ დაეყრდნოს პირველ პალატაზე და გული მიუშვიროს მეორეს... მთავრობა მუხლს იდრეკს, აღიარებს თავის „ბატონს“ და იმედოვნებს მისგან მოწყალების მიღებას“...

ამგვარათ, ჩვენ ვხედავთ, რომ დემოკრატიის ორივე სახე, პარლამენტარული და დემოკრატია ხელისუფლების განაწილებითურთ, საკანონმდებლო ხელისუფლების მიმართ ღრმა უნდობლობით არიან გამსჭვალულნი. სხვაგვარი მდგომარეობა უჭირავს მას უშუალო დემოკრატიაში. როგორც არუნდა იყოს დაქვემდებარებული სუვერენულ ხალხზე, იგი აღმასრულებელ ხელისუფლების მიმართ სარგებლობს იმ დიდი უპირატესობით, რომ ეს უკანასკნელი, აღმასრულებელი ხელისუფლება არის მისი მსახური-აგენტი, და თვით ის კი—მისი ბატონი. აქ საკანონმდებლო ხელისუფლების იურიდიული მდგომარეობა ირკვევა მისადმი ნდობით და აღმასრულებელ ხელისუფლებისადმი უნდობლობით. უკვე რუსსოსთვის საკანონმდებლო ხელისუფლება არის საერთო ნების ორგანო და თითქმის უთანასწორდება სუვერენს, ამიტომ „აღმასრულებელი ხელისუფლება ყოველთვის დამოკიდებული უნდა იყოს საკანონმდებლო ხელისუფლებისაგან და მას კონტროლს უნდა უწევდეს ეს უკანასკნელი“.

„უამისოთ ყოველი კავშირი, ყოველი დაქვემდებარება ამ ორ ხელისუფლებათა შორის არ იარსებებდა, თუ კი რომ უკანასკნელი პირველზე არ იქნებოდა დამოკიდებული, ასრულებას არ ექნებოდა არავითარი აუცილებელი დამოკიდებულება კანონებთან; კანონი იქნება და მხოლოდ სიტყვა და ამ სიტყვას არავითარი მნიშვნელობა არ ექნებოდა“. რუსსოს მიხედვით, საკანონმდებლო ხელისუფლების ამ ყოვლად სიძლიერისაგან ის გამომდინარეობს, რომ ამ მომენტში, როდესაც იგი ანუ ხალხი შეიკრიბება, ყოველგვარი სხვა მთავრობითი ხელისუფლება უნდა შესწყდეს: „როგორც კი ხალხი კანონიერათ შეიკრიბა, როგორც სუვერენული ორგანო, მთავრობის ყოველგვარი იურისდიქცია ჩერდება, აღმასრულებელი ხელისუფლების მოქმედება სწყდება“.

საფრანგეთის რევოლიუციის გავლენით ეს იდეა შეიჭრა შვეიცარიაში და გადამწყვეტი ფორმით გავლენა მოახდინა აღმასრულებელი ხელისუფლებასთან საკანონმდებლო ხელისუფლების დამოკიდებულებაზე. მართალია, შვეიცარიაში პირველად დამკვიდრდა არა უშუალო დემოკრატია, როგორც ეს რუსსოს სურდა, არამედ წარმომადგენლობითი დემოკრატია. მხოლოდ მე-19 საუკუნის შუაში იქ უმე-

შვეო დემოკრატია განხორციელდა რეფერენდუმის შემოღების გამო. მაგრამ მაინც რუსსოს მნიშვნელოვანი დებულებანი მანამდისაც სამაგალითო და წასაბაძი იყვნენ. გაბატონებულ მოტივებათ ითვლებოდა საკანონმდებლო ხელისუფლებისადმი ნდობა, უნდობლობა აღმასრულებელ ხელისუფლების თანამდებობათადმი, რომელთაც ასრულებდენ კანტონალურ პატრიციების ოჯახთა წევრები. 1891 წ. 31 ივლ. ბერნის კონფერენციაში ნათქვამია: „უზენაესობას (სუვერენიტეტის) ახორციელებს დიდი საბჭო, როგორც ხალხის წარმომმდგენელი“. სანაგელენის ეხლანდელ კონსტიტუციაში (1890 წ.) დიდ საბჭოს როგორც „კანტონის უმაღლეს დაწესებულებას“, „ხალხის საკონსტიტუციო სუვერენულ უფლებათა“ დაცვის პირობით, ეკუთვნის კანონმდებლობა, და აგრეთვე „სახელმწიფოს ყველა სხვა უზენაეს უფლებათა“ განხორციელება. ასეთივე გარკვევა არის ეხლანდელ შვეიცარულ საკავშირო კონსტიტუციაშიც: „ხალხის და კანტონების უფლებათა დაცვის პირობით უმაღლესი ხელისუფლება ხორციელდება საკავშირო კრების მიერ„.,.

საკანონმდებლო კორპუსის (Landsgemeinde) დამოუკიდებლობა უფრო ძლიერათ გამოხატულია ძველ კანტონებში (Urk antonen) ერთი სიტყვით, „ხალხის უფლებათა დაცვის პირობით“,—საკანონმდებლო კორპუსი არის ბატონი, აღმასრულებელი ხელისუფლება კი—მსახური.

აი ამ ნდობიდან, რომელიც უმეშვეო დემოკრატიაში საკანონმდებლო კორპუსისადმი არსებობს, იმ უნდობლობიდან, რომლითაც ეპყრობიან მას, როგორც პარლამენტარულ დემოკრატიაში, ისე დემოკრატიაში ხელისუფლების განაწილებითურ, გამომდინარეობენ შემდეგი იურიდიული განსხვავებანი და შედეგნი:

1. თუ უმეშვეო დემოკრატიაში არსებობს ეჭვი ორგანოს კომპეტენციაში მოახდინოს მან სახელმწიფოებრივი აქტი, მაშინ ეს დებულება საკანონმდებლო ხელისუფლების კომპეტენციის სასარგებლოთ ლაპარაკობს. იხ. მაგ. § 6. 3. 4 ტესსინის კონსტიტუციისა 1892 წ. „დიდი საბჭო ახორციელებს ყველა სუვერენულ უფლებებს, რომელნიც კონსტიტუციაში ცხადათ სხვა დაწესებულებას არ აქვს მინდობილი“.

არც პარლამენტარულმა დემოკრატიამ, არც დემოკრატიამ ხელისუფლების განაწილებითურთ არ იცის ამგვარი Praesumtio juris.

2. უმეშვეო დემოკრატიაში აღმასრულებელი ხელისუფლება ითვლება მხოლოდ წარგზავნილ (gewn.) საკანონმდებლო ხელისუფლებათ. უკანასკნელს ცალკებრივ შემთხვევაში შეუძლია ეს წარგზავნა-დელეგაცია უკანვე წაიღოს და განახორციელოს იგი მის გარე, აღმასრულებელი ხელისუფლების თავზე. ეს აღიარებულია შვეიცარიაში, მართალია კავშირის შესახებ არა, მაგრამ ცალკებრივ კანტონებისათვას. დემოკრატიაში ხელისუფლების განაწილეიითურთ ეს დაუშვებელია.

3. დემოკრატიის ყველა სამ სახეში ფუნქციების განაწილება საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებათა შორის აგრეთვე სხვადასხვანაირად გამოიხიტა, იმის მიხედვით, ამ ორი ხელისუფლებიდან, რომელი: პირველი თუ მეორე სარგებლობს კონსტიტუციური კანონმდებლობის უნდობლობით.

რკინის გზაზე.

26 აგვისტოს სასწრაფო მატარებლით საღამოს 6 საათზე ტფილისიდან ბაქოს გაემგზავრა მოკავშირეთა მთავარი კომისარი ამიერ კავკასიაში პოლკოვნიკი გასკელი.

—

საქართველოს რკინის გზის სამმართველოდან ყალბი საბუთებით მიუღიათ 6000 მ. ყალბი საბუთები შეუდგენიათ საბიუჯეტო განყოფილების მთავარი ბუღალტერის საქმის მწარმოებელს ვასილ ბახტაძეს და სახელმწ. შემნახველ კასის კონტროლიორს ლევან გუნიას. ორივე სამსახურიდან დაითხოვეს და სისხლის სამართალში მისცეს. გუნია დატუსაღებულია და ბახტაძემ დამალვა მოასწრო.

—

26 აგვისტოს ბაქოს გაემგზავრა ინგლისელთა დამატებითი სამხედრო მატარებელი.

—

ნავთლუღიდან სანაინში გაემგზავრა ლტოლვილი სომხები: 25 აგვისტოს—35 ვაგონი, 26 ს— 30 ვ. და 27—15ვ. მათ შორის ბაქოდან ჩამოსული 10 ვაგ.

—

საქართველოს ცენტრალურმა სასურსათო საბჭომ შეიძინა 300000 ფუთი ხორბალი და ფქვა 80000 ფუთი. ამ ფქვილის გაგზავნას თვალყურს ადევნებს პურის ტრანსპორტის გამგე ბუციკი. 25 აგვისტოს 3 ორთქმავალი მოითხოვეს ტფილისში ფქვილის გასაგზავნათ.

—

საქართველოს რკინის გზის სამმართველოსთან არსებულმა სასურსათო კომიტეტმა ბათომში გაგზავნა აგენტი გაჟინსკი, რომელმაც უნდა იყიდოს ფქვილი მოსამსახურეთათვის.

განცხადებანი

ქუთაისის მაზრის უბნის მომრიგებელ მოსამართლე იწვევს მემკვიდრეებს გარდაცვალებულის მცხოვრებ სოფელს კორეთში ალექსი დავითის ძის მხეიძისას, რათა განაცხადონ თავის მემკვიდრეობის უფლება ექვსი თვის განმავლობაში იმ ქონებაზედ, რომელიც დარჩა ხსენებულ მხეიძეს თანახმად 1241 მუხ. მეათე ტომისა სამ. სამარ. წესდ. 1507 1—1

დაკარგულია ტფილისის ვაჭართა ბანკის 25 აქცია I გამოც. №№ 3630—44, 1768—77, 1918 წ. კუპონებით, დროებითი მოწმობა № 926 მეორე გამოცემის საქციისა, დროებითი მოწმობა № 2333 მესამე გამოცემის სამი აქციისა ისაია სერგის ძე ბაღდასაროვის სახელზე, დროებითი მოწმ. № 88 მეორე გამოც. 25 აქც., დროებითი მოწ. № 919 მეორე გამოც. 1 აქციისა ავაკ სერგის ძე ბაღდასაროვის სახელზე, დროებითი მოწმ. № 2066 მესამე გამოც. 14 აქც., დროებითი მოწმ. № 2074, მესამე გამოც. 12 აქც., სურენ ისაის ძე ბაღდასაროვის სახელზე. მპოვნელს თხოვენ წარმოარგინოს ისინი ერევნ. მოედ. ერამოვის მაღაზიაში. 1208 3--1

ტფილ. მილიციის უფროსი აცხადებს, რომ რომან ივანეს ძე ზვოლსკიმ განაცხადა, უვადო პასპორტის დაკარგვა მიცემული ტფილისის პოლიცმეისტრის მიერ 21 აპრილს 1907 წ. № 3782, პოლონეთის პასპორტი 27 დეკემბერს 1918 წ. მიღებული, ოტსტავკის მოწმობა, მეტრიკული მოწმობა და ორი ლომბარდის ბილეთი №№ 495 და 725. მპოვნელი ხსენებულ საბუთებისა მოვალეა წარუდგინოს მილიციის სამმართველოს. 3—2

ილარიონ ბესარიონის ძე ეძგვერაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა აღმასრულებელი ფურცელი, მიღებული ქ. ტფილისის I უბნის მომრიგებელ მოსამართლისგან 1919 წ. აგვისტოს 9, № 401, რომლის ძალით ეძგვერაძეს სასარგებლოდ უნდა ჩამორთმეოდა სერგო ბუაჩიძის მემკვიდრეებს 1004 მან. 1167 3—3

ვექილობა მიცემული იოსებ მოსეს ძე მინინაშვილს და პილხაზ მანუახის ძე ფიჩხაძის მიერ მიხეილ მიხეილის ძე ადასკოზე და შედგენილი ბათომის ნოტარიუს ხიტოროვ-ბესტავაშვილთან 1919 წ. ივლისის 16, რეესტრი № 1856, გაუქმებულია. 1196 3—3

ნიკოლოზ მიხეილის ძე იონორაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების ბილეთი მიღებული სამხედრო სასწავლებლიდან. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1207 3—3

აბრამ დავითის ძე კოგანი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული 1918 წ. ივლისში და მინდობილობის ბარათი მიცემული დ. ს. ბერკოვიჩის მიერ კოგანის სახელზე. 1198 3—3

სურენ კარაპეტის ძე კასპარიანცი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სიმწიფის მოწმობა № 415, მიღებული ტფილისის მეოთხე გიმნაზიის კანცელარიიდან 1913 წელს, რაც გაუქმებულად ჩაითვალოს. 369 3—3

ქალ. ტფილისის მე XIII უბ. მომრიგებელი მოსამართლე თანახმათ თავის დადგენილებისა 1919 წ. აგვისტოს 14 დღესა, იწვევს გარდაცვალებულის კლავდია ივანეს ასულ არგუტინსკაიას (პირველ ქორწინებით გოფმანისა) მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავის უფლება ზემოხსენებულ არგუტინსკაიას ქონებაზე მე X ტ. I ნაწ. 1241 მუხლში აღნიშნულ ვადაში. 1149 1—1

რესპუბლიკის ჯარების სამხედრო სასამართლოს ამა წლის 9 აგვისტოს დადგენილების თანახმად, სამხედრო სასამართლოს წესდების 951 მუხ. ძალით ეძებენ სიღნაღის მაზრ. სოფ. საქობის მცხოვრებს 1 „დივიზიონის მე 3 საარტილერიო ბრიგადის ჯარის-კაცს ილია მინდორაშვილს 25 წლისას, რომელსაც ბრალი ედება 128, 133 და 163 მუხ. XXII წიგ. ს. დ. კ. 1869 წ. გამ. 4 თ. ყველა, ვინც იცის სად იმყოფება მინდორაშვილი ვალდებულია განუცხადოს რესპუბლიკის ჯარების სამხედრო სასამართლოს, რომელიც იმყოფება ქ. ტფილისში ოლღას ქუჩა № 48. 1475 1—1

მოითხოვეთ და იხმარეთ შეშის მაგიერ ქვა-ნახშირი

ქვა-ნახშირს ორჯელ მეტი სითბო აქვს ვინემ საუკეთესო შეშას, იაფათ ჯდება, იწვება სოველგვარ ქვემო საბერვიან გერმეტიულ ფეჩებში და სამზარეულო პლიტებში. საგრძნობელ ეკონომიას წარმოადგენს კერძო ოჯახებისათვის, ხოლო განსაკუთრებულს სასწავლებლებისათვის, სასტუმროებისათვის, რესტორანებისათვის და სხვა და სხვა სამხედრო და სამოქალაქო დაწესებულებებისათვის. აგრეთვე გვაქვს სამჭედლოებისათვის **საგანგებით დამზადებული ნახშირი და დიდძალი კირი**, საუკეთესო ხარისხის და ხელმისაწვდომ ფასებში. საწყობები გვაქვს ბათუმში, ფოთში, სამტრედიაში, ქუთაისში, გორში, ტფილისში, ერევანში, ბაქოში და სხვა ქალაქებში. დაკვეთა შეიძლება დიდ პარტიობით და წვრილ-წვრილადაც. ყოველგვარ ცნობების და შეკითხვის მისამართი: ტფილისში, გრიბოედოვის ქ. № 6. ტელ. № 11—45. საწყობი ქვა-ნახშირისა: დიდუბე, ფოთის ქუჩა, ქალაქის შეშის საწყობის ეზოში 15—9 1140 „ტყიბულის ქვანახშირის გამსაღებელი **მთავარი სააგენტო**.

მიმდინარე წლის 28 ენკენისთვეს, დილის 10 საათზე ქ. ტფილისში, ფრეილინის ქუჩაზე, № 11 დანიშნულია

საქართ. სავაჭრო-სამრეწველო პალატის წევრთა არაჩვეულებრივი კრება.

განსახილველი საგნები: 1) შეცვლა პალატის წესდებისა და საარჩევნო ინსტრუქციის ზოგი §§ სა.

2) განხილვა დებულებისა შესახებ პალატის განყოფილებათა და 3) მიმდინარე საკითხები თანახმად წესდების 37 § ისა თუ აღნიშნულ კრებას არ დაესწრო წევრთა 2/3. მეორე კრება შესდგება 29 ენკენისთვეს, იქვე, საღამოს 7 საათზე, რომელიც კანონიერი იქნება მიუხედავად დამსწრე წევრთა რაოდენობისა.

პალატის კომიტეტი. 1226 3—3

ქალ-ვაჟთა რვა კლასიანი გიმნაზია

ი. მ. მაჩაიძისა, ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 22.

(შენობა ყოფილ სასულიერო სასწავლებლისა) მისაღები გამოცდები 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8 კლასებში დანიშნულია ყოველ ორშაბათობით 20 სექტემბრამდე. მოსამზადებელ კლასებში ყმაწვილები მიიღებიან გამოუცდელად. თხოვნების მიღება 9—3 ს.

მიწათ-მოქმედების სამინისტროს მეურნეობის და სახელმწიფო მამულების განყოფილება

ამით, აცხადებს, რომ ქ. ტფილისში განყოფილების სადგომში (პეტრე დიდის ქუჩა № 22) მეორე სართულში ორშაბათს ამა წლის 1 ენკენისთვის ნაშუადღევის 12 სათზედ, მინისტრის ნებართვით დანიშნულია საჯარო ვაჭრობა, მხოლოდ 5 ენკენისთვეს ნაშუადღევის 12 საათზედ განმეორებით საჯარო ვაჭრობა, სახელმწიფო-ეროვნულ მამულების: წინანდალის, მუკუზანის, ნაფარეულის, კარდანახის და მუხრანის (ქართლის) ჭაჭის გაყიდვაზედ. ვარციხის, არგვეთის, საქარის და ვაჭევის ჭაჭაზე საჯარო ვაჭრობა მოხდება დაბა-ყვირილაში, საქარის ამერიკულ ვაზების სანერგის შენობაში. მოსალოდნელია ჭაჭის შემდეგი მოსავალი: წინანდალის—5,000 ფ. მუკუზანის—5,000 ფ. ნაფარეულის—3,000 ფ. მუხრანში—2,000 ფ. მანავში—1,000 ფ. კარდანახში—500 ფ. ვარციხეში—2,750 ფ. საქარის სანერგიდან—500ფ. და ვაჭევის—500 ფ. ვაჭრობის შეჯიბრება დაიწყება 50 მანეთიდან ფუთზედ. მყიდველი, რომელსაც დარჩება ჭაჭა განმეორებით საჯარო ვაჭრობით ვალდებულია შემოიტანოს იმავ დღეს, რა დღესაც გათავდება ვაჭრობა, შეძენილი ჭაჭის ღირებულობის 10% ზე, გაიტანოს ჭაჭა თავის ხარჯით პირდაპირ საქაჩავიდან და გაასწოროს ყოველ გატანაზედ ანგარიში.

1492 3—3

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაო საყურადღებოთ,

თანახმად სანიტარული გადასახადის მოკრეფის წესების მე 11 მუხლისა, რომ მან დაამტკიცა ზემოხსენებული გადასახადის განაწილება შემდეგ სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა შორის: სამხატვროების, თამბაქოს ქარხნების, მკალავების, სანთლის მაღაზიების, ჩამომსხმელ სახელოსნოების, ყაზაზების, ბამბით მოვაჭრეთ, კავკასიური მაღაზიის, ღვინის საწყობების, სპირტისა და კონიაკის საწყობების, ნავთის საწყობების, გირავნობის კასებისა და ლომბარდების, ავტომობილების სახელოსნოების და გარაჟების, სასტუმროების, გილზის ქარხნების, თესლეულობით სავაჭროების, კალათების და „ჩემოდნების“ სახელოსნოების, სათამაშოების მაღაზიების, მექათმეების, ცირკების, ბოთლების საწყობების, მეყინულეების, ავეჯეულობის ქარხნების, ბზით მოვაჭრეების, ფარნის სახელოსნოების, ლიმონადის ქარხნების, სადგურების და თეატრების ბუფეტების, სამხედრო სამკაულთა, სახელოსნოების, ლუდის ქარხნების, საბილიარდოების, ქოლგების გამკეთებლების, თივით მოვაჭრეების, წყალსადენის სახელოსნოების, აგურხანების, სანთლის ქარხნების, ტანისამოსის მაღაზიების, შეშის საწყობების, პროჟექტორების, დაბაღების, კამფეტების ქარხნების, ჭურჭლის მაღაზიების, აფთიაქების, კლუბების, საკატლეტოების, სასადილოების, მწვანილეულობით მოვაჭრეთა და გრამოფონების მაღაზიების.

ზემოხსენებულ დაწესებულებათა პატრონებს, წესდების მე 12 მუხლის ძალით, შეუძლიანთ დღიდან დამტკიცების, ე. ი. 27 აგვისტოდან ერთი კვირის განმავლობაში შემოიტანონ განაწილებაზედ საჩივარი, საბჭოს სახელზედ.

შეწერილი გადასახის რაოდენობის შეტყობა შეიძლება ყოველ დღე დილის 8—2 საათ. ქალაქის გამგეობაში, გადასახადთა ბიუროში. 1541 2—1

საქართველოს მთავრობის სტამბა

დროებითი რედაქტორი ვიქტორ ნოზაძე